ოქმი:ო135. 13524218001
თარიღი:05/08/2024

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-7

დ. მესტია 26.07. 2024წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ა. რატიანი. ბ. ნაკანი, გ. გიგლემიანი, გ. დადვანი, დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ხარძიანი, ზ. ჯაფარიძე, ზ. ფალიანი, ვ, ფილფანი. თ. დადეშქელიანი, ი. გირგვლიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. ხორგუანი, შ. რატიანი, შ. ცინდელიანი, მ.რატიანი, შ. გულედანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი. მ. გოშუანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> მ.გელოვანი.

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u> ბ. კვიციანი, გ. გელოვანი, დ. გვიჩიანი, ი. რატიანი, მ. პაკელიანი, ლ. პაკელიანი, ლ. ქალდანი.

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ს. კვიციანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის უფროსი ს. ჩხვიმიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მთ. სპეციალისტი ვ. გულედანი. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განყოფილების უფროსი ლ. მჭედლიანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, სხდომას ესწრება საკრებულოს 33 წევრიდან 24 წევრი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

/მომხსენებელი: ს. კვიციანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ს. ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

3. მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში2023 წლისა და 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ს. ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი./

4. მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (შენობების) საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვ. გულედანი. თანამომხსენებელი: ზ. ფალიანი./

5. მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა მესტია, სტალინის ქუჩა N 7-ში ,არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ: 42.06.38.088), მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 42.06.50.299) გაცვლის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვ. გულედანი. თანამომხსენებელი: ზ. ფალიანი./

6. ,,მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსებული პროექტების მოწონების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მარტის N-გ-135.135240883 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლ. მჭედლიანი. თანამომხსენებელი: ზ. ფალიანი./
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივლისი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.
მომხრე----------24
წინააღმდეგი------0
თავი შეიკავა-------0
კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივლისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № გ-135. 135242086 **თან ერთვის)**
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე

მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილებები შედის მთავრობის განკარგულების საფუძველზე. „2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2023წ. წლის №529 დადგენილებით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 187 300 ათასი ლარიდან გეგმაში აუსახავი თანხა 82 300 ათასი ლარი. “მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 19.04.2024 წლის წლის №550 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 500 097 ლარი შემდეგი პროექტების დასაფინანსებლად:

ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ყარსგურიშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 220 000 ლარი.

მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. არცხელის საავტომობილო გზის და ხიდის რეაბილიტაცია - 280 097 ლარი.

აგრეთვე ისაუბრა შიდა მუხლობრივ გადატანებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: გ. დადვანმა-იკითხა სკოლის ტრანსპორტირებაზე

ს. კვიციანი--დელეგირებული თანხაა და ადგილობრივი ბიუჯეტი ათვისებას უწყობს ხელს.

რ. გვარმიანი--კომისიამ იმსჯელა და განიხილა საკითხი.

შ. ცინდელიანი-- იკითხა ნენსკრა ჰესთან დაკავშირებულ პრობლემებზე.
ს. კვიციანი--საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყო და გამოყო ექვსი მილიონი ლარი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი პარამეტრებიდან გამომდინარე.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------24
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება №:10 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ი. მიქიანმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციასა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით, გამოკვეთოს პირველი რიგის პრიორიტეტები, რომელთა აღსურლებაც 2024 წელს უნდა განხორციელდეს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს შშმ პირთა უფლებების დაცვას. გეგმაში ცვლილებები არ შედის, საკრებულო ამტკიცებს ყოველი წლის გეგმას. აღნიშნული სამოქმედო გეგმის აღსრულების შესახებ ინფორმაცია აისახება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიშში, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანმა-- კომისიამ განიხილა საკითხი, გეგმა მტკიცდება საკრებულოს მიერ ყოველწელს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------24

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №გ-გ-135. 135242081 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში2023 წლისა და 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ“.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო გასული და მიმდინარე წლებში ჩატარებული საქმიანობის შესახებ, 2023 წელს 12 თვის განმავლობაში მუშაობდა სოციალური დაცვის სამსახურის დებულების შესაბამისად, 2023 წლისთვის წინა წლების ანალიზის შედეგად, ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამები გახდა უფრო მიზნობრივი და ხელს უწყობს მოსახლეობის სიღარიბის შემცირებას, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ბოლო წლების ანალიზმა გამოავლინა, რომ მოსახლეობას გაეზარდა ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები, აქედან გამომდინარე შევიმუშავეთ სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტების დაფინანსებაზე ორიენტირებული სოციალური პროგრამები, რამაც მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახადა ჯანდაცვის მომსახურებები. 2023 წელს ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 834 397 ლარი. აღნიშნული თანხა გადანაწილდა სოციალურ პროგრამებზე.

პროგრამის ფარგლებში 2024 წლისთვის გაიზარდა შშმ პირების, შშმ ბავშვების, მარჩენალდაკარგული ოჯახების, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების, ხანდაზმულები (90 წლის ზემოთ) პირების და **მ**ომის მონაწილე ვეტერანების და ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირების ერთჯერადი დახმარება. 2024 წლისთვის წინა წლების ანალიზის შედეგად, ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამები გახდა უფრო მიზნობრივი და ხელს უწყობს მოსახლეობის სიღარიბის შემცირებას, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ბოლო წლების ანალიზმა გამოავლინა, რომ მოსახლეობას გაეზარდა ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები, აქედან გამომდინარე შევიმუშავეთ სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტების დაფინანსებაზე ორიენტირებული სოციალური პროგრამები, რამაც მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახადა ჯანდაცვის

მომსახურება და სამედიცინო სერვისები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------22
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში2023 წლისა და 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №გ-გ-135. 135242082 **თან ერთვის)**
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ვ. გულედანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (შენობების) საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიული შენობის სარემონტო სამუშაოები, დასრულების შემთხვევაში გადაეცემა საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს ორი წლის ვადით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა: მ. რატიანი--გადაცემულ შენობებზე რა მექანიზმით აწარმოებთ კონტროლს.
ვ. გულედანი-- ხელშეკრულების საფუძველზე. რომელიც დადებულია მუნიციპალიტეტსა და საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს შორის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------22
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (შენობების) საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.
განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №:გ-გ-135. 135241803 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა ვ. გულედანი ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა მესტია, სტალინის ქუჩა N 7-ში ,არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ: 42.06.38.088), მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 42.06.50.299) გაცვლის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია მოქ. გურგენ ჯაფარიძის განცხადება (რეგ N19/1342403627-134; 05.02.2024,წ) რომელითაც ითხოვს მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული, დაბა მესტია, ქუჩა სტალინის N-7-ში მდებარე 157 კვ.მ ფართის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ს/კ: 42.06.38.088 ადგილმონაცვლეობას, ს/კ: 42.06.50.299 მიწის ნაკვეთთან. სადაც აშენდება სამეთვალყურეო შენობა სამაშველოს სააგენტოსთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: გ. დადვანმა. ზ. ჩართოლანმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა მესტია, სტალინის ქუჩა N 7-ში ,არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ: 42.06.38.088), მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 42.06.50.299) გაცვლის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.
განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №-:გ-135. 135242084 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მექვსე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. მჭედლიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსებული პროექტების მოწონების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მარტის N-გ-135.135240883 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მესტიის მუნიციპალიტეტში 2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხაში 2024 წლის 28 მარტის საკრებულოს Nგ-135.135240883 განკარგულებაში შევიდა ცვლილება, კერძოდ: უშგულის, ნაკრასა და ბეჩოს ადმინისტრაციულ ერთეულებში. პროექტს თან ახლავს კრების ოქმები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსებული პროექტების მოწონების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მარტის N-გ-135.135240883 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №-:გ-135. 135242085 **თან ერთვის)**

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი